ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 37

21 ნოემბერი 2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამახური - გაიოზ თალაკვაძე; ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან არველაძე; რამინა ბერაძე; დავით უთმელიძე; ლევან დარახველიძე; ირაკლი ნადირაძე.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:
1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტი. (№12-031839154-03)
2. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი №11-01183233442 „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№15-0318323138-03)
დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ 219 წლის ბიუჯეტის პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია კანონმდებლობის შესაბამისად 15 ნოემბერს. ბიუჯეტის პროექტი განიხილა ყველა კომისიამ. „კიდევ ერთხელ ავღნიშნავ, რომ წარმოდგენილი პროექტით, 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 871 631.5 ათასი ლარით. ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა დანართი- განაცხადა მან.

როგორც ავღნიშნეთ 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 871 631.5 ათასი ლარით, რაც 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 10 022.5 ათასი ლარით მეტი, ხოლო 2018 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით 45 232.1 ათასი ლარით ნაკლებია.

ბიუჯეტის შემოსავლები დაგეგმილია 850 531,5 ათასი ლარით,

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში გათვალისწინებული ცვლილებების გათანაბრებითი ტრანსფერის და საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მომართულია დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელიც შეადგენს 473 415,2 ათას ლარს. ქონების გადასახადიდან მისული შემოსავლები შეადგენს 185 000,0 ათას ლარს, რაც 2018 წლის ბიუჯეტთან შედარებით 25 000,0 ლარით მეტია.

გრანტები 1 341,5 ათასი ლარი: მ.შ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღბული გრანტი 881,5 ათასი ლარი და მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები დაგეგმილია 190 774,8 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების კლება დაგეგმილია 20 000.0 ათასი ლარი,

ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 871 631,5 ათას ლარს.

პრიორიტეტების მიხედვით:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება - გათვალისწინებულია 105 858,5 ათასი ლარი

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - გათვალისწინებულია 173 797,7 ათასი ლარი.

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - განსაზრულია 92 996,0 ათასი ლარით. მ.შ გამწვანების ღონისძიებებისათვის -26250,0ათასი ლარი, ხოლო დასუფთავების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 61 354,0 ათასი ლარი.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - პრიორიტეტში გათვალისწინებულია 5897,0 ათასი ლარი.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პრიორიტეტში გათვალისწინებულია 20 648,1 ათასი ლარი,

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია

განათლება - პრიორიტეტი 2018 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 168,9 ათასი ლარით და შეადგენს 117 150,1 ათას ლარს,

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტში გათვალისწინებულია 27 131,4 ათასი ლარი,

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება გათვალისწინებულია 3 158,3 ათასი ლარი.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები შეადგენს 75 124,6 ათასი ლარს.

2019 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილა ყველა კომისიამ და ფრაქციამ. კომისიაში წარმოდგენილია ყველა მუდმივმოქმედი კომისიის და ფრაქციების: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“, „ქართული ოცნება-კონსერვატორები“, „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს შენიშვნები და წინადადებები 2019 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. რაც შეეხება ფრაქციებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო-თბილისი“, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიაში შემოსულია წერილები, სადაც აღნიშნავენ, რომ მათი შენიშვნები და მოსაზრებები გაეგზავნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

ირაკლი ზარქუამ კომისიის წევრებს გააცნო ძირითადი რეკომენდაციების შესახებ:

2019 წლის ბიუჯეტში შესაძლებლობის ფარგლებში გამოინახოს თანხები შემდეგი მიმართულებით:

1.ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრების პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებების გაზრდა.

2.ავტობაზების და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების სრულფასოვნად განხორციელების მიზნით თანხების გაზრდა.

3.გადასახედია უფასო სასადილოებით მომსახურების დაფინანსება და კარგი იქნება ამ პროგრამით გათვალისწინებული 16 787 ,9 ათასი ლარი გაიზარდოს შეძლებისდაგვარად.

4.გენერალური გეგმის შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს თბილისის ყველა უბნის თანაბარი განვითარება, ცენტრალური უბნების მსგავსად გარეუბნების ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების თანაბარი დაფინანსება.

5.სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელ- პედაგოგებისათვის ხელფასების გაზრდა .

გარდა ამისა მან ისაუბრა ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიას შენიშვნებზეც-

იმ ფონზე როდესაც დედაქალაქში მწვავედ დგას ავარიული შენობების მდგომარეობა მნიშვნელოვანია , რომ ამ კუთხით პროგრამისთვის გათვალისწინებული თანხები გაიზარდოს.

ასევე მიგვაჩნია, რომ არასაკმირისია თანხები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამაშიც.

შეცდომებია დაშვებული წარმოდგენილი ბიუჯეტის დანართი N1 - ში გაანგარიშების დროს. ერთი და იგივე დასახელების სამუშაოების შესრულებისთვის წარმოდგენილია მკვეთრად განსხვავებული ღირებულებები, გამგეობების მიერ დაგეგმვისას გამოყენებულ სავარაუდო ანგარიშ-პროექტისა და ტენდერის ფასებში სხვაობებია ერთსა და იგივე დასახელების სამუშაოებზე. გარდა ამისა უფრო კარგად არის ჩამოსაყალიბებელი საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები. მაგალითად ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის მიერ განსახორციელებელ პროგრამებში.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: დავით უთმელიძემ, რამინა ბერაძემ,ლევან დარახველიძემ. მათ კიდევ ერთხელ განმარტეს იმ შენიშვნებთან დაკავშირებით, რაც ქონების

მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიას გადმოეგზავნა კომისიებისა და ფრაქციების მიერ და მიმართეს საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს შეძლებისდაგვარად გაითვალისწინონ მათი რეკომენდაციები.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ **ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისია** უერთდება კომისიების წინადადებებს **და** მოსაზრებას და იმედი გამოვთქვა, რომ ქალაქის მერი შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს მათ რეკომენდაციებს და ხელმეორედ წარმოდგენილი კორექტირებული ბიუჯეტი მაქსიმალურად იქნება მორგებული დედაქალაქის მოთხოვნებზე.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა გაიოზ თალაკვაძემ.

მან აღნიშნა, რომ ვაკის რაიონის გამგეობას, ჯანდაცვის დაწესებულებებიდან წარმოდგენილი შესრულებული მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, საგარანტიო წერილების საფუძველზე , რომელც წარმოდგენილია გამგეობაში, პროგრამაში „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები“ (კოდი 06 02 18 11) , მესამე კვარტალში დამატებით ესაჭიროება 20 000 ლარი, რასაც აბალანსებს რაიონში „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში (კოდი 01 01 12) არსებული რესურსებით.

მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი „თბილისის მუნიციპლიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც ვაკის რაიონის გამგეობა ითხოვს პროგრამაში „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში“ (კოდი 06 02 18 11) III კვარტლის გეგმის გაზრდას 20 000 ლარით, IV კვარტლის გეგმის შესაბამისად შემცირების ხარჯზე, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა კვარტალურ გადანაწილებას საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილის (№11-01183233442) დანართის შესაბამისად.**

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა